




ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი  
პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ



@SCHOOL

## ინტელექტუალური საკუთრება (IP) განათლებაში

## ინტელექტუალური საკუთრების დღის აქტივობები

ინტელექტუალური საკუთრების მასტერკლასი



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ევროკავშირის  
ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

# ინტელექტუალური საკუთრების მასტერკლასი

<b>მოკლე აღწერა</b>	ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის თემაზე სემინარის ჩასატარებლად სკოლაში შეიძლება მოიწვიოთ ინტელექტუალური საკუთრების სპეციალისტი უნივერსიტეტიდან, იურიდიული კომპანიიდან ან ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული უწყებიდან.
<b>ასაკი</b>	მასტერკლასი მორგებული უნდა იყოს საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მზაობასა და ინტერესებზე.
<b>დრო</b>	ერთი 45-წუთიანი სესია/გაკვეთილი
<b>მიზანი</b>	აქტივობის მიზანია, განუმტკიცოს მოსწავლეებს ცოდნა იმის შესახებ, თუ რა არის ინტელექტუალური საკუთრების უფლება; დაანახოს მათ, თუ როგორ უნდა ეს საკითხი პირადად მათ – როგორც მომხმარებლის, ასევე შემოქმედის როლში ყოფნისას; რეალური მაგალითების გამოყენებით აჩვენოს, რა მნიშვნელობა აქვს შემოქმედისთვის თუ მეცნიერისთვის საკუთარ ნაშრომზე ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას.
<b>სწავლის შედეგები</b>	<p>მოსწავლეები გაეცნობიან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა სახის დაცვას უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ინტელექტუალური საკუთრების უფლება;</li> <li>• რა როლს თამაშობს ინტელექტუალური საკუთრების უფლება მათი, როგორც სოციალური ქსელების კონტენტის შემქმნელთა ცხოვრებაში;</li> <li>• სხვათა ნაშრომის პატივისცემის მნიშვნელობას, რათა, სანაცვლოდ, სხვებმაც სცენ პატივი მათ ნამუშევარს;</li> <li>• ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ხერხებს და მათი გამოყენების საშუალებებს პრაქტიკულ სიტუაციებში.</li> </ul>
<b>კომპეტენციები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წიგნიერების კომპეტენცია</li> <li>• კულტურული გაცნობიერებულობისა და თვითგამოხატვის კომპეტენცია</li> <li>• მოქალაქეობის კომპეტენცია</li> <li>• პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენცია</li> <li>• სამეწარმეო კომპეტენცია</li> </ul>
<b>მომზადება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ღონისძიების მიზნების წარმატებით მისაღწევად საჭიროა, მოსწავლეებს გავლილი ჰქონდეთ წინარე მომზადება ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლებში.</li> <li>• დაუკავშირდით ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სპეციალისტს, რომელსაც შეუძლია, მოსწავლეებს ასაკის შესაფერისი, მოზარდთა აუდიტორიისთვის აქტუალური მაგალითები გააცნოს. შესაძლოა, ორი სპეციალისტის მიერ ერთობლივად ჩატარებული სემინარი უფრო დინამიკური გამოვიდეს.</li> <li>• მოამზადეთ სემინარის ორი ან სამი ვარიანტი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე მოსარგებად.</li> </ul>
<b>რესურსები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სპეციალისტი;</li> <li>• ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გზამკვლევი მოსწავლეებისთვის;</li> <li>• ინტერნეტზე წვდომის მქონე კომპიუტერები ან ლეპტოპები შესაბამისი მაგალითებისა და სარეგისტრაციო პროცესის საჩვენებლად.</li> </ul>

# აქტივობების შესახებ

## 1. ყინულის გაღობა

მიესალმეთ მოსწავლეებს და მიმართეთ ასეთი შეკითხვებით:

- რომელია თქვენი საყვარელი ბრენდები?
- ფლობთ თუ არა რამეზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებას?
- თუ მოსწავლეებს უკვე მიღებული აქვთ მონაწილეობა ლოგოს შექმნის აქტივობაში, შესაძლოა, ინტელექტუალური საკუთრების ცნებების ასახსენებლად მათსავე მიერ გაკეთებული დიზაინი გამოიყენოთ.

## 2. ინტელექტუალური საკუთრების არსის ახსნა

თქვენ, როგორც დარგის სპეციალისტი, უფრო სიღრმისეულად აუხსნით მოსწავლეებს, თუ რა არის ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. როგორც წესი, სპეციალისტები ამისთვის იყენებენ შესაფერის, საინტერესო მაგალითებს, როგორცაა: ფერები ან ავტომობილის კარის ჩაკეტვის ხმა; პატენტებზე საუბრისას ასახელებენ ცნობილ გამომგონებლებს თავისი ქვეყნიდან; სთხოვენ მოსწავლეებს, საპატენტო ნახაზის მიხედვით ამოიციონ გამომგონება და ა.შ.

## 3. ინტელექტუალური საკუთრება ჩვენ გარშემო

შესაძლოა, გამოიყენოთ ლეპტოპები და აჩვენოთ მოსწავლეებს, სად შეიძლება დამატებითი ინფორმაციის მოპოვება ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, როგორ აწარმოონ რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების ძიება ან სად შეიძლება ინტელექტუალური საკუთრების დარეგისტრირება; ახსენეთ შესაბამისი ორგანიზაციები: EUIPO (ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება), EPO (ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია), საქპატენტი (ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი). ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლების შესახებ შეგიძლიათ ნახოთ მასწავლებელთა ტრენინგის პირველი მოდულის მასალებში.

## 4. კითხვა-პასუხი

სემინარი კითხვა-პასუხით დაასრულეთ. სემინარის შინაარსიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, მოსწავლეებს დაუგროვდებათ ბუნდოვანი მხარეები და შეკითხვები, რომლებზე პასუხის მიღებასაც მოისურვებენ. შეგიძლიათ, მოსწავლეებს შესთავაზოთ სემინარის შინაარსის მიხედვით შედგენილი მოკლე ქვიზი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მასტერკლასის დასრულებისთვის ერთგვარ სახალისო ხერხად გამოგადგებათ.



დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და მასალების ჩამოსატვირთად ეწვიეთ ვებგვერდს: [www.ideaspowered.eu](http://www.ideaspowered.eu)  
ან გაგზავნეთ წერილი მისამართზე: [IPinEducation@euipo.europa.eu](mailto:IPinEducation@euipo.europa.eu)

